№ 200 სექტემბერი 24, შაბათი 1888 სექტემბერი 24, შაბათი № 200

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შესწორებული და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

ტფილისი, 23 სექტემბერი

ევროპის სახელმწიფოებს ბევრი საცილობელი საგანი აქვსთ, რომელთა მორიგებით გადაწყვეტა დღითი დღე უფრო და უფრო საეჭვოდ მიაჩნიათ. ამ საგანთა შორის ბოლგარიის საქმეც ითვლება და იგი ისეთ საქმედ მიაჩნიათ, რომელზედაც დამოკიდებულია სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობა. როცა ბოლგარიის საქმეზე ლაპარაკი ასტყდება, ეს იმისი ნიშანია, თუ რამდენად გამწვავებულია საპოლიტიკო განწყობილება დიდ სახელმწიფოთა შორის. იმისვე ნიშანია ბოლგარიის „არა-კანონიერის“ მმართებლობის ასე თუ ისე მოქმედება, სახელდობრ, როცა ბოლგარიის მმართებლობა თამამადა და მტკიცედ მოქმედობს, ეს იმასა ჰმოწმობს, რომ ამას მხარს აძლევს რომელიმე ძლიერი სახელმწიფო სხვის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ერთის სიტყვით, ბოლგარიის ავ-კარგიანობა ნამდვილი მაჩვენებელია იმისი, თუ საითკენ დახრილა ამ წამს საპოლიტიკო სასწორი.

რამდენი ულაპარაკნიათ იმის შესახებ, რომ პრინცი ფერდინანდი „არა-კანონიერი“ მთავარიაო, რომ იგი უსათუოდ გადაყენებულ უნდა იქმნას ტახტიდგანაო, სახელმწიფონი ვერას დროს ვერ შეიწყნარებენ დღევანდელს ყოფას ბოლგარიისასაო და სხვანი, მაგრამ ბოლგარიის მმართებლობა ყურსაც არ იბერტყავდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თქმა და ქმნა ერთი არ იყო.

და ეხლა, როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგან სჩანს, ბოლგარიის მმართებლობა წინანდებურზე კიდევ უფრო თამამად თუ მოქმედებს, თორემ უკან დახევით-კი სრულიად არ დაუხევია. როგორც ინგლისისა და ვენგრიის გაზეთები გვარწმუნებენ, ოსმალეთი მზად არის კანონიერ მთავრად აღიაროს პრინცი ფერდინანდი. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, უეჭველია ევროპის საქმეთა მსვლელობა უფრო ჩქარის ნაბიჯით წავა წინ და ევროპის სახელმწიფონიც თავს გამოიდებენ და ერთმანეთს ანგარიშს გაუსწორებენ. ხსენებულ ამბავთან ერთი სხვა ამბავიც ისმის. სტამბოლიდგან სწერენ ერთს უცხოელს გაზეთს, რომ ბოლგარიის ფინანსთა მინისტრმა ნაჩევიჩმა, როცა სტამბოლში იყო, დიდს ვეზირს გადასცა პრინც ფერდინანდის ბარათი სულთანის მიმართ მიწერილიო. ფერდინანდი სწერს სულთანს, რომ, საცა არის, იძულებული ვიქმნები შევიწყნარო ბოლგართა სურვილი, ბოლგარია და აღმოსავლეთი რუმელია გამოვაცხადო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ჩემი თავი „კოროლად“ აღკიაროვო. გაზეთის კორრესპონდენტი დაბეჯითებით არაფერს ამბობს, რამდენად მართალია ეს ხმა, ხოლო იმას-კი დარწმუნებით ამბობს, რომ ნაჩევიჩს ამ ხასიათის საუბარი ჰქონია დიდ ვეზირთან. ნაჩევიჩს უთქვამს, რომ რა წამსაც ოსმალეთი ბოლგარიის მეკობრობასა და მოსარჩლეობას გადუდგება, ფერდინანდი იმ წამსვე გასწყვეტს ყოველსავე კავშირს ოსმალეთთან და ბოლგარიას დამოუკიდებელ სამთავროდ აღიარებსო.

ეს ორი ამბავი, რომელთაც ასე დაბეჯითებით ავრცელებენ საპოლიტიკო გაზეთები, იმისი საბუთია, რომ ბოლგარიის დღევანდელს მმართებლობას ზურგი მაგრად აქვს და დიპლომატიური მიწერ-მოწერა და სახელმწიფოთა ცილობა არაფრად მიაჩნია.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ მარტში გამოცხადდა ცალკე დებულება სამრეწველო სასწავლებლების დაარსების შესახებ რუსეთში. ამ ჟამად კომისიაც არის შემდგარი და მინდობილი აქვს გადასწყვიტოს, სადა და სად უნდა გაიმართოს ასეთი სკოლები, სად რა გვარის მრეწველობის შტო და საგანი ისწავლებოდეს და სხვანი. ამ კომისიამ უნდა გაათაოს თავისი საქმე ოქტომბრის გასვლამდე და მერე წარუდგინოს, რასაც გადასწყვეტს, სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად. გაზეთი „Новости“ ამბობს, რომ ასეთის მაღალის სასწავლებლის გამართვა საჭიროა, სხვათა შორის, სამხრეთისკენ, კავკასიაშიო.

⁂ გოლოვინის პროსპექტზედ, ბასისტის სთამბაქო მაღაზიის ფანჯარაში სდევს გასასყიდად ძველებური ქართული ტალკვესიანი თოფი, რომელიც სულ მთლად შევერცხლულია და იშვიათის ხელოვნებით არის მოსევადებული და ნაკეთები. ლულაც, კონდახიც ვერცხლ-გადაკრულია და ვერცხლში ცურვილი. სალტები წმინდა ვერცხლისაა. კონდახზე რუსული, ქართული, ფრანგული და თათრული ზედ-წარწერებია. ქართულად აწერია: „პეტრე მესხი ვარ“; ფრანგულად: «Naduda Bogdanoff»; რუსულად: „1859 годъ, 24 Іюля. Кавказъ. Укрѣпленіе Кумухъ“. თათრული ზედ-წარწერა ვერ წავიკითხეთ. ეს თოფი მიუტანია მაღაზიაში ვიღაც ნიკოლოოზ პეტრეს ძეს ვოლსკის, საკონტროლო პალატის სეკრეტარის თანაშემწეს. ფასი თოფისა 120 მანათია. ქართულს ზედწარწერაში მოხსენებული პეტრე მესხი ამ ჟამად ქართლში სცხოვრებს, ძველებური ქართველი კაცია, ახოვანის ტანისა, რომაულის ცხვირით, მაჯა-ძლიერი, ბევრის ომის მნახველი, მამულისა და სამშობლოს დიდი მოყვარე. ეს ის პეტრე მესხია, რომლის გმირობა და ვაჟკაცობა ქართლში კარგად იციან და რომელმაც შარშან შიშის ზარი დასცა ქართლის ავაზაკებს, რაკი გავარდა ხმა, რომ პეტრე მესხი და მეორე მისივე დოსტი, აწ უკვე მეტად ხნიერი ტარასი მგალობლიშვილი, თავიანთ ნებით გავიდნენ ავაზაკების შესაპყრობადაო. პეტრე მესხს ლეკურად აცვია: ლე-

ფელეტონი

მგზავრის შენიშვნები *)

II

წინა წერილში ჩვენ სურამამდინ მოვედით.

სურამი, როგორც მოგეხსენებათ, ძველი ნაქალაქევია, დღეს-კი კოპწია აგარაკი გახლავსთ და ამითი მოაქვს მხოლოდ თავი მწვანე კიტრივით. ძველთაგან სურამს შერჩენია მხოლოდ სახელოვანი „სურამის ციხე“. პაწიობას დედა რომ მიამბობდა ხოლმე საბრალო ზურაბის ამბავს, ქოქოლა და სიბრალული ამიტანდა. ბავშობიდამ ჩამყვა გულში სურამის ციხის სიძულვილი და კაცი-ჭამიას ვეძახდი. „ის გვერდი ციხისაო, სადაც ზურაბი ჩაატანეს, მეტყოდნენ ხოლმე, ეხლაც სველია ზურაბის ცრემლისაგანაო“. დღესაც იმ გვერდს, რამდენჯერაც უნდა ენახო სურამი, უთუოდ თვალს გადავავლებ ხოლმე. გულსა სჯერა და სწამს, რომ ზურაბი, საბრალო დედის-ერთა ბიჭი, ცოცხლივ ჩაატანეს კედელში, რათა ციხე აღარ დაქცეულიყო; მაგრამ გონება-კი უარ-ჰყოფს ამ საზარელს გარდმოცემას ხალხისას და ცოტა არ იყოს, ღვთის მადლმა, გულზე გეფონება.

ძველად, როგორც გვიჩვენებს ადგილ-მდებარეობა სურამისა, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სურამის ციხეს; სურამი მდებარეობს შიგ კორტოხის პირში, თითქოს იმერეთის დარაჯად არის აქაო, მაგრამ იმერეთს უფრო უკეთესი დარაჯი ჰყვანდა—თვით კორტოხი, რომელსაც ქართლში უწოდებენ „ქოჩორას“ ანუ „ქოჩორის მთასა“; ეს მთა ძველად გაუვალის ტყით იქნებოდა შემოსილი, მტრისაგან მიუვალი და საშიშიც უნდა ყოფილიყო. დღესაც რამდენს ებრძვის ამ მთას კაცის დაუნდობელი ხელი, მაგრამ არ უვარდება და მსხვერპლს მსხვერპლზე იწირავს. ისე გაუჭირა საქმე, რომ შუა გზიდამ აუქციეს და სხვა მხრივ გააბრუნეს რკინის გზა. უეჭველია, სურამი და იმისი ციხე, მშვენიერი კორტოხი, ბევრის ავისა და შავის დღის მომსწრენი არიან; ბევრი ტკბილი დღეც უნახავთ, ბევრჯელ ატირებულან მტრისაგან, ბევრჯელ მტერიც აუტირებიათ და კუდით ქვა უსროლინებიათ. მაგრამ ეს ამბები რა ჩვენი საქმეა; ისტორიკოსებს მიეანდოთ ამაზე სჯა და ბაასი. ჩვენ ვსთქვათ, დღეს რა არის სურამი.

როცა პირველად რკინის გზამ გადმოიხვდა კორტოხიდამ სურამში, მაშინ ამოუვიდათ მზე აქაურებს; გაცოცხლდა აქაურობა; ძველი ტალახიანი სურამი გასუფთავდა, გაფაქიზდა, სახლი სახლზე ააგეს, გაკეთდა მშვენიერი აგარაკი; ამას ხელს უწყობდა სურამის მშვენიერი ბუნება, რკინის წყლები, სხვა-და-სხვა ნაირი წყაროები. ამის გამო ხალხით აივსო; მუდამ ზაფხულს ტფილისიდამ, თუ სხვა ადგილებიდამ მოსულნი სურამში ზაფხულობენ; უფრო დიდი შექცევა-გართობანი იყო, როდესაც აქ ზაფხულობით ბანაკად ჯარები იდგა ხოლმე; სურამს ჯერ ეს ჩამოაცალეს, დაეტყო კიდეც მაშინვე. ახლა რკინის გზა უნდა აუქციონ და „შენი მტერი და მახატელი“, სწორედ ცუდი საქმე დაემართება. მაგრამ იმედს არა ჰკარგავენ: სურამამდის რკინის გზის შტო დარჩებაო; ბექათუბნიდამ და ბექათუბნამდე ცარიელი ვაგონები ივლის სურამის ულელტეხილითაო. რამდენად მართალია ეს, არ ვიცით, მაგრამ იმედი ჯერ მაინც იმედად რჩებათ. მაინცა და მაინც სურამის მშვენიერი ბუნება: იმისი სიგრილე, წყლები, ჭალაკები ზაფხულობით ხალხს მოიზიდავს, თუ სოფ. ქვიშხეთმა არ დაჰკრა, რადგანაც გზა ამ მშვენიერის სოფლისაკენ გააბრუნეს.

სურამს ძველადვე, ციხეს გარდა, შერჩენია სომხები და ურიები, რომელნიც ციხის გარშემო სცხოვრებენ. ჩვენს ძველს ქალაქებში, თუ ყველგან არა, მომეტებულს ნაწილში მაინც, ურიები სცხოვრებდნენ; ბოლოს სომხებიც შეეკედლნენ. ყოველთვის და ყველგან ისეა, როდესაც ხალხი თავისს ღვიძლს სამშობლოს სტოვებს, უცხოეთში მიაშურებს ქალაქ ადგილსა, რომ იქ ვაჭრობას მიჰყოს ხელი; ვაჭრობისთანა და მერე ისიც ჩვენებურის ვაჭრობისთანა ადვილი ხომ არა არის-რა. მოსული კაცი თუ მარტო ამითი დაირჩენდა ძველად თავს, სხვა იმას არა გააჩნდა-რა. ამ ორმა ხალხმა აღმოსავლეთს საქართველოში მაგრა მოიკიდეს ფეხი; ურიები მალე გაწყალდნენ, რადგანაც მათს გაძლიერებას სარწმუნოება უშლიდა; სომხებმა-კი, როგორც ქრისტიანებმა, თანდათან იმატეს, ვაჭრობა თანდათან გააძლიერეს და დამდიდრდნენ სურამი დღეს ურიებისა და სომხების ხელშია. ურიები უფრო იოლიანი ვაჭრები არიან, ვინემ სხვანი.

თეით ხალხი სურამისა დავიდარაბის მოყვარულია; ყველა სურამელი ვაჭარი ადვოკატია; ახალმა კანონებმა ხალხი ხომ სულ დააოსტატა; ზედ რკინის გზა და იმისი ადვოკატები სწორედ სულზე მოესწრნენ რაღა! ვის შეუძლიან გაბედოს რამე აქ? კანონებითა და „სტატიებით“ სულს ამოართმევენ, ხეირს არ დააყრიან. თუ მაინც და მაინც გაჯიუტდა, მისტყეპენ, აჰკიდებენ გუდა-ნაბადს და იქ გაისტუმრებენ, „куда Макаръ телятъ не гоняетъ“.

სურამელები ასეთები არიან, მაგრამ არც სხვები აშავებენ რასმე. ზოგიერთებს ისეთი კაცები აურჩევიათ ადვოკატებად, რომელნიც, როგორც მოგეხსენებათ... რა ვიცი, ასეო... ისეო... არა, ასე მოგახსენებენ, თორემ „მენა, შენი ჭიიმე, დიამც ვიყო, დიამც ვიყო“, გლახა ჭრიაშვილისა არ იყოს, სულ რავდენისამე ამბის მომსწრე ადვოკატთა ხრიკებისა. მე რა მეხსომება, აბა! აქ ამას წაედავენ მამულს, იქ იმასა. წარმოიდგინეთ, აბა ვინ მისცა აზამბურელ თათარს სურამში მამული!! მაგრამ ერთს აქაურს მემამულეს ლამის ტყავი გააძრონ დავიდარაბითა და, მგონი, დღესაც არ გათავებულა ეს დავი-

---

*) იხ. „ივერია“ № 15.

კური ჩერქესკა, ლეკური დიდი ფაფახი, ლეკური ხმალი. სულ იარაღში ზის. გულ-მკერდზე მენდალი და ჯვრები აქვს ვაჟკაცობისათვის ბოძებული. იმისს ხმალზე სამი უცნაური სურათია: ვადაზე, შუა წელზე და ბოლოში. ვადაზე ლომია.

— ჩვენც წინად ლომები ვიყავით, — იტყვის ხოლმე პეტრე მეხსი ხშირად და ღრუბელი გადაურბენს სახეზედ.

აი ასეთის ვაჟკაცის თოფი, საჭურველი და საომარი იარაღი, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი ცეცხლი და ვაება უნახავს, დღეს გასასყიდად არის გამოტანილი ბაზარში!..

⁂ ამ თვეის 21-ს ორი უბედურება მოხდა ქალაქში. ჯვარის-მამის ქუჩაზე ერთი დურგალი, ვინმე ატიკო, სკიპიტარს ადუღებდა ბურბუშელით. უეცრად სკიპიტარი გადადუღდა, ეცა იქვე მდგომს დურგალს და ტანისამოსზე ცეცხლი მოეკიდა. როგორც იყო უშველეს, გააქრეს ტანზე მოდებული ცეცხლი, მაგრამ საწყალს ძალიან დაუშავდა პირისახე, ხელები და ტანი. როცა დამწვარს ტანისამოსსა ჰხდიდნენ, ტყავი სულ გასძვრა. შეწუხებული და დამახინჯებული წაიყვანეს საავადმყოფოში და იქ კიდეც გარდაიცვალა. საწყალი დურგალი წვრილ-შვილი იყო.

მეორე უბედურება მოხდა მეტეხის ციხის ქვემოდ. მტკვრის პირს ორი დედაკაცი სარეცხსა ჰრეცხავდა; რაღაცაზე ლაპარაკი მოუვიდათ და ერთმა მეორეს სარეცხის ნაჭერი გადაუგდო წყალში; მეორემ სამაგიეროდ ხელი ჰკრა და მტკვარში გადააგდო. საბრალო ქალმა ბევრი იფართხალა, მაგრამ ვერა გააწყო-რა, წყალი დიდი იყო და მისცა მტკვარს თავი.

⁂ „ივერიის“ მე-198 №-ში ნაამბობი იყო, რომ სამღვდელოების წლევანდელმა კრებამ დაადგინა სასულიერო სემინარიის შენობას მიემატოს ახალი შენობა პარალელურის კლასებისათვისაო. იქვე მოხსენებულია, რომ ახალი შენობა ძალიან დააპატარავებს სემინარიის ეზოს და ამიტომ კარგი იქნებოდა სამღვდელოებას შეეძინა, თუ მოხერხდებოდა, ის სახელმწიფო შენობაცა, რომელიც სემინარიას გვერდზე აკრავს; სამწუხაროდ, ეს აზრი თავშიაც არავის მოსვლია და სამღვდელოებას ჩამგონებელიც არავინ ჰყოლიაო. ამ ამბის გამო ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ კრებაზე კიდეც აღუძრავს ერთს დეპუტატს (მ. ხარიტონოვის საბლაღოჩინოდგან) სიღნაღის მაზრისას. ეს დეპუტატი იძულებულ იქმნა გაჩუმებულიყო, რადგანაც ამ ადგილის შესყიდვა უსახსრობის გამო დეპუტატთა უმრავლესობამ შეუძლებელ საქმედ იცნო.

⁂ სოფ. ფლავი: დღეს კიდევ უფრო დაწვრილებითა და, ვგონებთ, უფრო მეტის სინამდვილითა გვწერენ გიორგი უთნელიშვილის მოკვლის ამბავს: ვინც თავი არა სთქვა, ბოლო ვერ გაიგოო. საქმე აი რაში გახლავსთ: ამ ოცის წლის წინად სოფელ ფლავში გარდაიცვალა აზნ. რევაზ უთნელიშვილი, რომელმაც კაი სააზნაურიშვილო მამული დასტოვა; დასტოვა აგრეთვე ქვრივი ობოლის ქალ-ვაჟით. ამავე სოფელში იმ ქამადვე ზედსიძედ შევიდა სხვა უთნელიშვილის ოჯახში რუისელი აზნაური ნ. დაფქვიაშვილი. უთნელიშვილის ქვრივი, უპატრონოდ და უმწეოდ დარჩენილი, შეეხიზნა ზემოხსენებულს დაფქვიაშვილს. დაფქვიაშვილიც ჰპატრონობდა ქვრივ-ობლებს, როგორც შეეძლო. სამაგიეროდ დაფქვიაშვილი სჭამდა ქვრივ-ობლების მამულს და ჰხმარობდა ყოველ გვარ ავეჯს, რაც-კი დარჩა რევაზს. უფროსი ობოლი ქალი გასათხოვარი შეიქმნა და კიდეც გათხოვდა. თითქმის უმზითვოდ დარჩნენ ნ. დაფქვიაშვილთან ქვრივი თავისის ვაჟიშვილით გიორგით, რომელიც ძლიერ მუშაბიჭი და მარჯვე გამოდგა ყოველ სოფლის საქმეში. როცა გიორგი დავაჟკაცდა, ასაკში მოვიდა, ითაკილა თითქოს სხვათა კარს ცხოვრება და შეუჩნდა თავისს დედას, ემუდარა ცალკე ვიცხოვროთ ჩვენ ჩვენთვის, მაგის ტევასა და შტილს მომარჩინეო; მაგრამ დედა დიდს უარზე იდგა. ბოლოს გიორგიმ თავისი არ დაიშალა. დაფქვიაშვილმა ცარიელ-ტარიელი გაისტუმრა. გიორგიმ გააკეთა ალიზის ოთახი და შარშან შემოდგომაზედ შიგ დაქორწილდა. გიორგის მარტოხელობა არ ეტყობოდა, რადგან ჯაფისა არ ეშინოდა. ამ თვეის 11-ს გიორგიმ ჩაიტანა ურემი თავისს ნაფუძარში სიმინდის დასადებად. უკან დაედევნა ნ. დაფქვიაშვილი თავისის 18 წლის შვილით. ჯერ წყნარად დაუწყო დაფქვიაშვილმა ლაპარაკი, რომ ეგ მამული ჩემია და ღალა მომეციო. გიორგიმ უპასუხა: ჩემის საკუთარის მამულიდგან ღალას არავის მივცემო. მაშ დედიშენის მეშვიდედი ეხლავ გამომითვალეო, — შეუმღლა ხმა დაფქვიაშვილმა. გიორგიმ უარი უთხრა: ხომ კანონია და სამართალი, შენ დედიჩემის ვექილი არა ხარო. ნ. დაფქვიაშვილმა ურმიდგან კამეჩი გამოუშვა. გიორგიმ ყურში ხელი წაავლო და აბამდა. აი სწორედ ამ დროს დაფქვიაშვილი ერთბაშად დაჰკრავს გიორგის კომბალს. გიორგი წაიქცევა, მიადგებიან მამა-შვილნი და დაუშენენ. ყოველივე ეს ისე მალე მოხდა, რომ მიშველებითაც ვერავინ მიასწრო. საღამოზედ სული განუტევა საწყალმა გიორგიმ. ექიმმა შეამოწმა. გამომძიებელმა განაჩენი შეაყენა. ნ. დაფქვიაშვილი დაატუსაღეს ციხეში. ახლა წარმოიდგინეთ ახალგაზდა მშობიარე ცოლის მწუხარება. დიდით პატარამდის ამ სოფელში ყველა ერთ ნაირად ჰგლოვობს გიორგის: უდროოდ გაფუჭდა უწყინარი და ყოვლად მშვიდობიანი ყმაწვილი კაციო.

⁂ **ქართლი:** აქ მოკლედ მოგიყვან, რა მაზანდა აქვს დღეს ქართლში და საზოგადოდ ქალაქის ბაზრებში მიწის მოსავალს: პური—ხორბალი იყიდება კოდი 4 მ.—4—50 კ., ფუთი მანეთად; ფქვილად-კი ხუთ მანეთამდის ადის; ქერი 65—70 კ. ფუთი; კართოფილი 40 კაპ. ფუთი; ხახვი 50 კ. ფუთი. სიმინდის მაზანდა-კი ჯერ არ გადაჭრილა. წელს როგორც სხვაგან, ისე ქართლში ვენახები ძალიან დააზიანა ნაცარმა და ობმა (მილდიუმა); ძალიან და ძალიან ნაკლები მოსავალია ღვინისა; ამ ჟამად იკვეთავენ ტკბილს კოკას (ოცს ბაზრის თუნგს) 8—12 მანეთამდე. ისეთს სოფლებშიაც-კი, სადაც ღვინო თავისს დღეში არ გაუყიდნიათ და ვერც წარმოიდგენდნენ, თუ მუშტარი მოვიდოდა, იმ სოფლებშიაც-კი რვა-ცხრა მანეთზე ავიდა ტკბილი. ზოგიერთს სოფლებში, სადაც ღვინო შემოდგომამდის გაჰყოლიათ ხოლმე, ეხლა ზედაშედაც ვეღარ შოულობენ.

გორი: გორის ქუჩებს ვეღარ იცნობთ; მაზრის უფროსის განკარგულებით თითქმის ყველა ქუჩები ახლად დააგეს ქვით; ზოგან აყრილია ქვები და გაცხარებული მუშაობაა; სანამ ძალათი არ დააყენა მუშები, მანამ ხალხმა თავს არ შეიდო. გააკეთებს ქუჩას, მოაქვს ანგარიში პოლიციის ბოქაულს და, მეტი ღონე არა აქვსთ, უნდა ფული მისცენ. მადლობის ღირსია ბ-ნი მაზრის უფროსი ამ სამადლო და კეთილის საქმისათვის. მაგრამ მივაქცევთ იმისს ყურადღებას ერთს გარემოებაზე: ზოგიერთს ეზოებში ძაღლები უბიათ ჯაჭვით; ყველამ იცის, რა ავია დაბმული ძაღლი; ხანდისხან გამორბიან ქუჩაზე და საშიშია არავინ დაგლიჯონ. ამას წინადაც ამ ნაირმა ძაღლმა ერთის საწყლის კაცის შვილი იმსხვერპლა და ამის გამო ერთი ალიაქოთი მოხდა. უნდა გამოუცხადონ პატრონებს, რომ ძაღლები ეზოს გარედ არ გაუშვან.

⁂ სტამბოლიდგან სწერენ ერთს უცხოელს გაზეთს, რომ იქ მომხდარა სომეხთ-გრიგორიანთა საერო კრება პატრიარქის ასარჩევად. კრებაზე დასწრებია ოთხმოც-და-თორმეტი კაცი; თავ-მჯდომარედ ყოფილა პატრიარქის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი სიმონ ზეფერიანი. ხანგრძლივის თათბირის შემდეგ არჩევანიც დაუწყიათ. ბრუსის ეპისკოპოზს ბართლომეს რგებია 39 ხმა და ლუზინიანის არქიეპისკოპოზს ხორენს— 36. სხვა კანდიდატებიც ყოფილან, მაგრამ ბართლომესა და ხორენზე ნაკლები ხმა მიუღიათ. რადგანაც არც ბართლომესა და არც ხორენს არ მიუღია კანონიერი რიცხვი კენჭისა, ამიტომ ხელ-მეორედ უნდა მოახდინონ არჩევანი, რისათვისაც ხელ-მეორედვე დაუნიშნავთ საერო კრება.

⁂ „Новое Время“ გვატყობინებს, რომ 17-ს სექტემბერს უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორს კ. პ. პობედონოსცევს დაუთვალიერებია ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები, სხვა-და-სხვა კაცთა შემოწირულნი მოციქულთა სწორის წმ. ნინოს საფლავის ძველის ტაძრისათვის, რომელიც იმყოფება ქ. სიღნაღის მახლობლად.

⁂ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ 1889 წელს სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში, გენერალ-მაიორის ჟილინსკის ხელმძღვანელობით, უნდა გამოიძიონ, თუ როგორ უნდა მოირწყას სახელმწიფო მამულები და უნდა შეუდგნენ მუშაობას აწ არსებულის სარწყავ არხების დასაცველად და აღსადგენად და ამ საქმის გამგეობის გამართვას, ხარჯის ფულად ამ საგნისათვის ხერსონისა, ეკატერინოსლავისა, ასტრახანისა, სარატოვისა, სა-

---

დარაბა. არა, რას გამოვეკიდე მეცა და! თითქო ახალი „ნუმრა“ იყოს ადვოკატებისაგან ამ გვარის საქმეების ჩადენა. ამ ამბებს ისე შევეჩვიენით, როგორც პურის ჭამას. საკვირველი ეხლა ის არის, კარგი გაიგო რამე, თორემ ავს ხომ კაცი ფეხს ვერ აუქცევს ამ შარიანს დროში:

კარგი რამ გწირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

მართლაც გასაკვირველი ის არის ამ ჩვენს დროში, ვინც კარგს იზამს; ავს ისე შევეჩვიენით, რომ შავროვები და სანდალებიც ვეღარ გვაკვირვებენ.

**

მატარებელი ქშენით შეუდგა სურამის უღელტეხილს და აგვაცოცა ქოჩორაზე. ქოჩორაზე რომ ავედით, სხვა-და-სხვა ამბებზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. მე აქ გამახსენდა ერთი ნაამბობი პაპიჩემისა. განსვენებული ისე არ მოიგონებდა „ქოჩორას“, რომ არ ამდგარიყო და ამოოხვრით პირჯვარი არ გამოესახნა: „ღმერთო, აცხონე, ღმერთო, აცხონეო!“ — ზედ დაურთობდა ხოლმე პირჯვრის წერას.

მაგრამ ბერმა კაცმა, პაპაჩემმა, ის-კი აღარ იცოდა, რომ თუმცა

ჟამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძვალთა!
მაგრამ, ჰოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის...

მართლა უთქვამს პოეტს, რომ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილი-შვილოდ გარდაიცემისო“; ბერიკაცის სიტყვები გულს დამაჩნდნენ და ეხლა მატარებლიდამ, ფონის სადგურის სიმაღლიდამ, უნებლიედ ვყელყელაობდი, გადვიყურებოდი ხევ-ხუვში, თვალს ვავლებდი „ქოჩორის“ მშვენიერს მიდამოებს. ეჰ, სად არ არის-მეთქი, ვსთქვი ჩემს გუნებაში, წმინდა საფლავნი, ვინ დასთვლის მათს რიცხვს ჩვენს „მშვენიერს ივერში“-მეთქი:

წმინდა საფლავნი
ნანგრევთ შუა ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოთ
ტყენი ჰბურვიან...

დიდებული ბუნებაა კორტოხისა, ანუ ქართლურად „ქოჩორისა“: უზარმაზარი მთები, ტყეები, ღრანტეები, ვიწრო და გაუვალი ხევები, რომელშიაც ლობე-მძვრალასავით უნდა იაროს კაცმა. ამ დიდებულის ბუნების ნახვის დროს გამახსენდა ერთი ზღაპარი:

ვითომ დევებმა დაისადგურეს ერთს დიდს ტყიანს მთაში, რომელიც მდებარეობდა ორის ქვეყნის შუა და ერთის ქვეყნიდამ მეორეში არა თუ ადამიანს, ჩიტსაც თურმე არ გადააფრენდნენ. ხალხს გაუჭირდა ძალიან, მაგრამ ღმერთმა გამოუგზავნა მხსნელი. ერთს საწყლის ქოხში დაიბადა საოცარი ბავშვი; ვინც წლით იზრდებოდა თურმე, ის დღით; შვიდი-რვა წლისა რომ გახდა, სამ ფუთიანს შილდ-ისარს ატარებდა და ლომის მოკვლა ისე მიაჩნდა, როგორც კატისა. ამან თურმე გააპარა ხალხი მთის წვერიკანებზე, ააშენებინა ციხე-სიმაგრეები, დააგროვებინა თურმე ბლომად კლდეები და ჩაუსაფრდა დევებს. აუტეხა მოულოდნელად სროლა ისრისა და გორვება კლდეებისა; აფუთფუთდნენ დევები, მაგრამ ეს ამბავი რწყილის კბენადაც არ შეიმჩნიეს, თუმცა-კი ბევრი დაუხოცეს. რას გააწყობდნენ აბა ადამიანები: რამდენსაც თავს მოსჭრიდნენ, იმდენი სხვა ებმევოდათ თურმე. საწყალის დედაბრის შვილმა, ხალხის წინამძღვარმა, სთქვა თურმე: იმდენი უნდა ვეცადნოთ, რომ ეგ წყეულები ზევით მთაზე არ ამოუშვათ, თორემ ამ ქედიდამ იქით და აქეთ სწორედ ფურთხის ზღვას დააყენებენ, შიგ ჩავიჩრობით და ბურთი და მოედანი მაგათ დარჩებათო. იფიქრა ვაჟკაცმა, იწვალა და ვერა ღონე ვერ მოიღონა. დაღონებულს და მაშვრალს მძიმე ფიქრებისაგან დაეძინა და ძილში ჰნახა სანუგეშო სიზმარი: ადექ, წადი ამადა-ამ მთაზე, რომელიც აქედგან ცხრა მთას იქით არის; იქ ბლომად მოდის ლენცოფა, მოჰკრიბე, მოიტანე. იმ წყლის სათავეში დააგროვე, რომელსაც დევები სმენ. შემდეგ შეჰყარე შენი ჯარი და ჯამათი, დასჩრჩქვე და წვენი წყალს შეურთე. დალევენ ამას და სულ გულ-მუცელი აერევათ; პატარა ხანმა გაიაროს თუ არა, ჩაუხდით ძირს და აიკელითო. ვაჟკაცი დაფაცურდა და დიდ ძალი ლენცოფა მოზიდა. მისცა თუ არა ლენცოფას წვენი წყალს, აუტეხა ზემოდამ სროლა ისრისა და გორვება კლდეებისა. აბორკდნენ დევნი და თურმე, რუსთველის თქმისა არ იყოს,

დევთა უკივილი, ზახილი
ზეცამდი აიწეოდა;
მათითა ლასტის ცემითა
ქვეყანა შეირყეოდა.
მზე დაბნელდეს მტვერითა,
ალვის შტო შეირხეოდა;
ასნი ერთ-კერძო მომიხდეს,
დავფრინდე, დაიხეოდა.

ამოსწყვიტეს შავ-კანა და მრავალ-თავა დევები, მაგრამ თესლი დარჩა მაინც კიდევ და სხვა-ფერა გაჩნდაო. ამიტომაც არის, მგონი, რომ ხალხს კიდევ დევები სწამს, მაგრამ ისე ხშირად აღარა ჰფიქრობს იმაზე, როგორც ადრე ჰფიქრობდა ხოლმე.

**

ყველაფრით კარგია „ქოჩორა“, კარგი მოგცეს ღმერთმა, მაგრამ ბევრის ავის საქმის მქნელიც კი გახლავსთ: ამან ორნი ძმანი, იმიერ და ამიერ ქართველები, ერთობ დაგვაშორა. შეხვალ თუ არა ამ მთაში, ამ ხეობაში, თითქო სულ სხვა ხალხსა ჰხედავ: ლაპარაკის კილო, ჩაცმა-დახურვა, ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ცრურწმუნებანი, თითქმის ყველაფერი, ბევრად თუ ცოტად, განირჩევა ამიერ ქართველების ლაპარაკის კილოსაგან, ხასიათისა და ზნე-ჩვეულებისაგან. შორაპან-ზესთაფონ-ყვირილაში რომ ჩახვალ, ხომ სულ გაგაკვირვებს აქაურის ხალხის: ქლმურტულით ლაპარაკი, კოწიაწით სიარული, ულვაშ-ბილის წვალება და ტანჯვა, თვალ-ჩაკვრით მზერა და სხვა მრავალი „პლუტური“ მიხვრა-მოხვრა. უეჭველია, უცხო თემის კაცი რომ დაივლიდა ამ ორს ნაწილს საქართველოსას, ბევრს რამე განსხვავებას იპოვიდა; რომელიმე შავროვისტი, მნახველი ამ გვარის გარეგანის განსხვავებისა, ხომ სიხარულით სულ გადირეოდა და გადირივნენ კიდეც. იქნამდის გადირივნენ, რომ ამ პაწაწა ქვეყანაში მილიონობით სთვლიან ერებს. ნაყონ წყალი და ქარს აძლიონ სიტყვები, ჩვენ რა გვენაღვლება. ბუნებით თეთრს შავად ვერავინ გარდაჰქმნის და შავს თეთრადა.

ვერ ვიტყვით, რომ შრომის-მოყვარეობით იმერელი ამერელს სჯობდეს, მაგრამ აქაც გარჩევაა; ამერელი, ქართლ-კახელი ქართველი უფრო ბინადრად შრომობს, ე. ი. თავისს მიწა-წყალს არა შორდება; თავისს ნახევარ დღის ვენახსა და ორ კვალს სახნავ-სათესს ვერ მოშორებია; იმათ ადგია თავსა, ვალერსება, უვლის, ზედ დაჰკანკალებს და შიგა ჰღვრის ოფლს. იმერელი-კი ერთს ადგილას არა ჩერდება; თუ თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარის გუბერნიებისა და კავკასიისათვის გადაუდვიათ ოც-და-თხუთმეტი ათასი მანეთი.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქუთაისი, 21 სექტემბერი. შენი მტერია, მკითხველო, რომ წელს დამწვარ-დადაგულია მთელი ქუთაისის გუბერნია. წლევანდელმა გვალვებმა ყველაფერი მოსრაკა. პურმა, რასაკვირველია, მოასწრო დასრულება და კარგიც გამოვიდა, მაგრამ პური ჩვენში ნაკლებად არის. ჩვენი სიმდიდრე სიმინდი და ღვინოა. უნდა მოგახსენოთ, რომ სიმინდი ისეთივე დაუფასებელი მცენარეა იმერეთისათვის, როგორადაც აქლემი აფრიკის უდაბნოსათვის. სიმინდი ჩვენში ისეთი რამ არის, რაიცა ყოველს განსაცდელს თავს დააღწევს ხოლმე.

ხშირად მინახავს, რომ ერთის თთვის გამუდმებული წვიმები ან სიცხეები მოუჭირებინოს ამ მხნე მცენარეს და თუ მერე რიგიანი დარი დასწრებია, უხვად დაუსაჩუქრებია თავისი შემყურებელი მუშაკი. ამისათვისაა კიდეც, რომ იმერელი ასე აფასებს ამ ძვირფასს მცენარეს და სთესს, სადაც-კი შეიძლება და არ შეიძლება! რაჭა-ლეჩხუმში, მაგალითებრ, იმისთანა ფხეკიან ადგილებში ჰნახავთ სიმინდის ყანებს, რომ გონს ვერ მოხვალთ მათი შემხედვარე, როგორ უნდა დაემუშავებინათ ყანაო. ჰფიქრობთ, ამ ფხეკებში არა თუ ხარი ვერ მოიკიდებს ფეხს, ვერც კაცი გაბედავს იქ ასვლას, თუ კარგი გამოცდილი და დახელოვნებული არ არისო. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. წელს ბუნებამ არ დაგვაჯერა ხანგრძლივს გვალვებს, ამას დაერთო იმერეთის დამღუპველი ზენა ქარი და ამით მოუსპო ყანებს ერთად-ერთი ღონე გაძლებისა—ღამის ცვარი, ასე რომ სიმინდის მოსავალი წელს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, გამეოთხედდა. ამასთან მილდიუმ, ახალმა ვაზის ავადმყოფობამ, მუსრი აადინა ვენახებს. ეს სამი წელიწადია, რაც ეს ავადმყოფობა ეწვია ჩვენს ვენახებს, მაგრამ, საუბედუროდ, მცხოვრებლები ჯერაც კიდევ დარწმუნებულნი არ არიან, რომ იგი ვაზის სენია და არა გვალვის მიზეზი. ამისი შედეგი ყველასათვის ცხადია. ის ღვინოები, რომელიც ამ სამის წლის წინად ოთხ აბაზად და მანეთად იყიდებოდა ბათმანი, ეხლა ორ ნახევრად და სამ მანათად ფასობს. მაჭრები ათ შაურიანი მანეთ-ნახევრად არის. სიმინდის მოუსავლელობას კიდევ გაუძლებს კაცი, რადგან მართლა რომ შემთხვევითი იყო, მაგრამ ჩვენს ვენახებს-კი უნდა გამოვეთხოვოთ, თუ ყოველი ღონის-ძიება არ ვიხმარეთ იმის სენის აღმოსაფხვრელად. ამ საქმეში საჭიროა ფიცხელი დახმარება, როგორც კერძო კაცებისა, ისე მმართებლობისა. აუცილებლად საჭიროა მმართებლობამ გაგზავნოს რამდენიმე აგრონომი, რომლებმაც ადმინისტრაციის შემწეობით უნდა შეატყობინონ მცხოვრებლებს ნამდვილი ხასიათი ვაზის სენისა, როგორც მილდიუსი, აგრეთვე ნაცრისა, და თან ასწავლონ წამლობაც. საჭიროა, მმართებლობამ უბაჟოდ შემოატანინოს საზღვარ-გარეთიდგან ის მაშინები, რომელთაც ჰხმარობენ ვაზის სენის წამლობის დროს, როგორც მაგალითად ვიგურუსის ვაზის სასხურებელი მაშინაა. ამბობენ, ვითომ საწერეთლოში ჯერ კიდევ არ გაჩენილიყოს მილდიუ. შეიძლება ჯერ სხვაგანაც იყოს ხელ-უხლებელი და, თუ დროზე შევებრძოლეთ ამ ქვეყნის უბედურებას, იქნება სხვები მაინც გადარჩნენ განსაცდელს.

არ შემიძლიან აქ არ მოვიხსენიო ერთი სასიამოვნო ამბავი იმის მაგალითად, თუ რა შეუძლიან კერძო კაცის მხნეობასა და ცოდნას. შორაპნის მაზრაში, სოფ. კვალითში, სცხოვრებს ბ-ნი ი. გუნცაძე, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც სამეურნეო სასწავლებელი დაასრულა საფრანგეთში. იგი ჩამოვიდა თავისს მამულში და ხელი მოჰკიდა მეურნეობას (ჩვენში სანატრელი ის არის, რომ კაცმა ის გამოიყენოს, რაც უსწავლია). ბ-ნმა გუნცაძემ მაშინათვე შეამჩნია თავისს ვენახს ავადმყოფობა და შეუდგა მასთან ბრძოლას. იმისს ვენახში ნაცარიც იყო და მილდიუც; გამოიწერა გოგირდი და იმისი საბერველი მაშინა (ნაცრის წინააღმდეგ), აგრეთვე ვენახის სასხურებელი მაშინაც (მილდიუს წინააღმდეგ), ლურჯი კვიპაროლი და კირი თავად შეამზადა და დაიწყო წამლობა. ამას ის მოჰყვა, რომ გუნცაძემ სრულიად გადაარჩინა თავისი ვენახი ორსავე სენს. ფოთოლი ეხლაც მწვანედ აქვს, მაშინ-როდესაც გარშემო ადგილებსა და სრულიად მთელს მაზრაში მარიამობის ნახევრამდეც არ შერჩენია ვაზებს ფოთოლი. ყველა მეზობლები დადიან იმისის ვენახის სანახავად და ჰკვირობენ, თუ ეს რა სასწაულთ-მოქმედებააო. ეხლა ბევრი იმისი მეზობელ ჰფიქრობს ვენახის წამლობას იმ ნაირადვე. მაგრამ მაშინის შეძენა ეძვირება. ბ-ნს გუნცაძეს ვიგურუსის მაშინა ხუთ თუმნამდე დასჯდომია, მაგრამ ამ რიცხვში 25 მანეთამდე მარტო ბაჟი დასჭირებია. ჩვენში ისეთი წვრილი მემამულეები არიან, რომ თუ მმართებლობამ შეღავათი არ მისცა და არ მოსპო ამ მაშინაზე ბაჟი, ძალიან ცოტანი გაჰბედავენ იმ მაშინის გამოწერას. თვით წამალი-კი ოთხისა თუ ხუთის მანეთისა უნდება ქცევაზედ. ყველა იგისრებს ამ ხარჯის გაწევას, რადგან თანდათან რწმუნდებიან, რომ უწამლოდ ვენახები ხელიდგან გამოეცლებათ. სწორედ ამ მხრით ძალიან საყურადღებოა ბ-ნ გუნცაძის მაგალითი.

ბესიკი

◆◆

უცხოეთი

ამერიკა. თანდათან უფრო მოიგო და მოინადირა გული ამერიკელებისა და მეტადრე დემოკრატებისა პრეზიდენტმა კლიველანდმაო, სწერს ამერიკელი კორრესპონდენტი გაზეთ „Руск. Вѣд“-ისა. მიზეზი ამისა ის არის, რომ გროვერ კლიველანდი პირდაპირი კაცია, მართალი, პატიოსანი და მხნე. უცბად ისეთს რასმე მოიქმედებს, რომ მთელს ქვეყანას აალაპარაკებს ამ მოულოდნელის საქციელის გამო, ბოლოს-კი გამოვა, რომ რაც ისე უშიშრად მოიქმედა, მოიქმედა ქვეყნის სასარგებლოდ. ამ ორის წლის წინად კლიველანდმა მისწერა მეტად საყურადღებო წერილი ერთს გენერალს და ამ წერილში იწინასწარმეტყველა, რომ ვაჭრობა დაეცემა და კოტრობა ჩამოვარდებაო. მეორე საყურადღებო წერილი მისწერა ერთს კერძო საზოგადოებას და სთქვა, რომ დას-დასობა უნდა ამოიფხვრას მოხელეთა შორისაო. მერე ერთი საეჭვო დემოკრატი და საწყალი პროფესორი ვილელსი დანიშნა ელჩად ინგლისში, ამ ფრიად დიდს ალაგზე. ცოლის შერთვითაც-კი გააკვირვა ამერიკელები. არავინ არ მოელოდა, რომ მათი საკმაოდ ხნიერი პრეზიდენტი ცოლს შეირთავდა და მერე ისეთს ყმაწვილს ქალს, სულ ოცის წლისას, ფრიად ლამაზსა და განათლებულს. შარშან იყო კიდევ და უცებ დაიგრიალა და გრგვინვასავით გაისმა იმისის ეპისტოლეს ამბავი; ეს ეპისტოლე კონგრესთან იყო მიწერილი. ეპისტოლეში კლიველანდი ამბობდა, რომ ტარიფი უნდა შეიცვალოსო, ბაჟები უნდა შემცირდესო, რადგან უმრავლესობას აწევს ტვირთად და უმცირესობა-კი, სახელდობრ, მექარხნეები, ამითი დიდს დახლს ისვამენო. ყველას ეგონა, რომ ეს ეპისტოლე დაჰღუპავს კლიველანდსაო. დემოკრატები შეიჯავრებენ და იმისს კანდიდატობას ველარავინ მოესწრება მეორედ პრეზიდენტობისათვისაო. მაგრამ ასე არ გამოვიდა. მას უკან უფრო შეიყვარეს დემოკრატებმა თავისი რიხიანი და გულადი მეთაური კაცი. ამ გაზაფხულზედ კიდევ პრეზიდენტმა დანიშნა უზენაესის სასამართლოს თავს-მჯდომარედ ვილაც თითქმის უცნობი ადვოკატი ჩიკაგოსი ვულლერი.

კანადის საქმის გამო სახელი გაითქვა კლიველანდმა. კანადელებს საქმე გაუჭირა და ისე მოახერხა, რომ სახვეწური ახლა კანადელებს ექმნებათ ამერიკასთან და თითონ ამერიკის შტატები-კი არასა ჰკარგავენ. საქმე იმაშია, რომ უბაჟო ტრანზიტი მოსპო კლიველანდმა კანადის საქონლისა, რომელსაც შტატებში ველარ გაატარებენ და ვერც შტატების გზებზე გაივლის საზღვარ-გარეთიდამ კანადისათვის დანიშნული საქონელი. მაგრამ ეს საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა და კონგრესს არ განუხილავს.

ამ დღეებში კიდევ წერილი მიუწერია დემოკრატთა კომიტეტის თავმჯდომარესათვის და თან ჩეკი გაუგზავნია 10,000 დოლარისა: აი ფული და მოიხმარეთ პრეზიდენტის არჩევანების დროს, რისთვისაც დაისაჭიროვოთო. იმის მაგალითს მიჰყვნენ ყველა იმისი ნათესავნი, მეგობარნი და მომხრენი. მილიონერმა უიტნეიმ, ზღვათა მინისტრმა, გაუგზავნა იმავე კომიტეტს 25,000 დოლარი, იმისმა სიმამრმა სენატორმა პეინმა გაუგზავნა 20,000, შვილმა ოლივერ პეინმა 25,000, ფოსტების მინისტრმა დიკენსონმა 10,000 დოლარი, ლ. სკოტმა 50,000 დოლარი. სულ ერთს კვირაში შეგროვდა ეს ფული და ახლა კიდევ, ვინ იცის, რამდენი მოგროვდება იმისთვის, რომ დემოკრა-

---

მიწა-წყალი დროზედ სარჩო-საბადებელს არ მისცემს, სხვაგან მიდის; მუდამ დაეძებს უფრო და უფრო სანატრელს სვე-ბედს. ამიტომაც არის, რომ იმერლებით მოდებულია მთელი საქართველო: რკინის გზებზე, იმისს სადგურებზე, ქალაქებში მოსამსახურეებად ვინ არიან? იმერლები. ეხლაა და წიფისა და ბელლეთის ხვრელზე მომეტებულ ნაწილად ისინი მუშაობენ; ასე გასინჯე, გურგენის (კასპის) ზღვის იქითაც გავიდნენ და სასტუმროები დამართეს. იმერელი ერთობ წინ-მსვლელია, გამბედავია ალებ-მიცემობაში.

გასცდები თუ არა ფონის სადგურს, ყველა სადგურებზე შეგვხვდებათ აუარებელი რიცხვი ბავშვებისა, რომელთაც სუფთა ბოყვებითა და პწკნის კალათუნებით გამოუტანიათ სადგურზე სხვა-და-სხვა ხილი; მარწყვობას მარწყვი გამოაქვთ იმდენი, რომ ადამიანს გაუკვირდება, სად და როგორ მოაგროვეს ამდენი ამ პაწაწკანტელა ბალანებმა; მაყვლობას—მაყვალი გამოაქვთ და ასე და ამ გვარად ყოველს დროს სულ სხვა-და-სხვა ნაირს ხილეულს, სალეველს, სანოვაგეს შეხვდებით. ახლა რა სუფთადა აქვსთ და კრეფილი და ჩალაგებული კალათებში და რა მწყობრად და მწკრივად სდგანან სადგურებთან! თითქოს განგებ დაუმწკრივებიაო ვისმესო. იმერელი ბავშვობიდგან ეჩვევა ალებ-მიცემობას, ბავშვობიდგანვე აქვს იმას შოვნისა და შეძენის უნარი; ოღონდ-კი შეიძინოს რამე, თორემ არაფერს არ იუკადრისებს; თუ გაუჭირდა, სულ უკანასკნელს ღონეს—მათხოვრობას მიჰმართავს და ცუდად კი არ გაჩერდება. ასეთი არ არის ქართლ-კახელი. ქართლ-კახელი ამპარტავანია, უკადრისობს ზოგიერთს საქმეს. თუ ერთობ დახეიბრებული არ არის, სათხოვნელად კარს არავის მიადგება, ხილს სოფლად როგორ გაჰყიდის თითო თეფშითა, ან კალათითა, ხომ სირცხვილია, რომ ფული გამოართვას. რკინის გზის სადგურზე, მაგალითად, მცხეთაში, ან კასპში, თუ ქართლელს ხილი გამოუტანია გასასყიდად, ან სხვა რამე სალეველი, მაშინვე შეატყობ, რომ თავი არ უსქდება დარდით, გაეყიდება თუ არა. არა სცდილობს, რომ გაასაღოს; იმერეთისაკენ სადგურებზე პატარა ბიჭი თვალებითაც-კი გელაპარაკება, თითქოს იმისი კალათა და ბოყვიც-კი გელაპარაკებიან, შემოგცაცქანებენ პირში და თითქოს ამისი თქმა სურთ: მიყიდე, შენი ჭირიმე! საზოგადოდ იმერელი ფხიზელია, დიდი მუყაითი თავისის საქმისა, ალებ-მიცემობის დიდი მიმდევარი; ქონების შეძენისათვის გველის ფხაში გაძვრება და შეიძენს-კი. მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ერთობ გახელებული დევნა შეძენისა ბევრს ცუდს საქმეს ჩაადენინებს ხოლმე იმერელსა: იმერელი არა ჰზოგავს არც ხანჯალს, არც „ფისტოს“, არც ნამუსსა და სინიდისს, ოღონდაც-კი შეიძინოს რამე; ქურდობს და ავკაცობს შეძენისათვის, ნამუსსა და სინიდისზე ხელს იღებს კიდევ ამ ღმერთისათვის; „კლიაუზნიკობს“, დავიდარაბაობს, მეზობელსა და ძმას არ ინდობს; ღვიძლს შვილზე შეიტანს „დანოსს“, ოღონდ-კი თავისს გაუმაძღარს ღმერთს ემსახუროს. იმერელს ხომ უმარკოდ ვერ წარმოიდგენ; ახსენებ თუ არა იმერელს, მარკაც თან გაგახსენდება. გზაზე ბევრი მაგალითები სთქვეს და ბევრი იოხუნჯეს მარკების გამო. რაც უნდა ნაილაჯი გლეხი იყოს, უთუოდ მარკა უდევს უბეში: თუ სადმე გაუჭირდება, დააკრავს ქაღალდს და აფრენს საჩივარს, სადაც ჯერ არს.

თურმე ორი მოხელე, დიდ ადგილის მქონენი, მოდიოდნენ სოფლად ქუთაისიდამ; შეჰყვნენ ლაპარაკს და ხალხის „კლიაუზნიკობაზე“ გადავიდნენ. ერთი მოხელეთაგანი ქართველი ყოფილა; დანაძლევებია მეორე მოხელეს, თავისს უფროსს, რომ რომელი გლეხიც გინდა ავარჩიოთ და ვკითხოთ, თუ ჯიბეში მარკა არ ედვასო. მოხელემ თურმე გაიოცა: სადა აქვსთ იმდენი შეძლება, რომ მარკები იყიდონ და ჯიბე-უბით ატარონო. გაუოცდა, როცა ერთს აბრანძულს ყაზახს დაუძახეს და ორი მარკა გამოართვეს.

— რა საჭიროა, სწორედ იმიტომ მოუმატეს მარკებს ფასი, რომ ამოდენა მუშტარი ჰყავსო,—იოხუნჯა ვიღამაც ვაგონში.—ღმერთმანი, თუმანიც რომ გახადონ თითო მარკა, მაინც იმერელი კაცი არ გამოილევსო.

**

როდესაც მატარებელი ბეჟათუბნის სადგურთან გაჩერდა, ჩვენ გადავედით პურის საჭმელად. აქ პირველად დაეძლიეთ ქუთათურის კენჭოსნების ხატი „ზუთხი“.

— ბიჭო, ბიჭო, აი ქუთაისში რომ აყალმაყალს ახდენს ხოლმე, კენჭოსნებს რომ ერთმანეთს დაატაკებს, სულ აი ამ ზუთხის ბრალიაო, მითხრა ჩემმა მეგობარმა.

ჩვენსკენ „ხაშობა“ იყო მოდაში «კენჭაობის» დროს, მაგრამ «ზუთხი» უფრო უნარიანი ხატია. ერთი გემო მაინც გავიღოთ-მეთქი, ვუთხარი ჩემს მეგობრებს, თანამგზავრებს, და სწორედ «ბლაღოჩინურად» ჩავუსხდით ზუთხს, რომელიც საუცხოოდ იყო შემზადებული სხვა-და-სხვა საწებლებით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენებური ხაშიც ხომ არის და არის, მაგრამ ზუთხი სულ სხვა ყოფილა; ასე გასინჯე, დღემდისაც-კი, როცა გამახსენდება მადლიანად შემზადებული ზუთხი, მაძღარსაც-კი პირში ნერწყვი ამეშლება, ჭამის ქეიფზე მომიყვანს ხოლმე. წარმოიდგინე, დინჯს ამერელს რომ ასე მიშვრება ზუთხი, ცხარე და ფიცხს იმერელს რას უზამს. სწორედ კარგი დიპლომატი ყოფილა, ვინც კენჭაობის დროს ზუთხი შემოიღო ქუთაისში. რას ამბობთ? ძმას ჩაუგდებს შავს კენჭს, ძმასა; შვილს არ დაზოგავს კაცი, ისეთი ძალა ჰქონია ზუთხს. მე მგონია, რომ თვით ზუთხი ყოფილა ასეთი დიპლომატი და არა იმისი შემომღები. აქ ხათრი იმისი-კი აღარა გაქვს, ვინც ბლომად ჩაგალაგებინა ახალ-ახალი ზუთხის ნაჭრები, თვით ზუთხისა, რომლის გემო პირში გიდგას და ძალა-უნებურად პირს გაწკლაპუნებინებს.

საკვირველია, ღმერთმანი, რომ ამდენს პოეტებში, ამდენს მესტვირეებში, რომელთაც იმერეთში კაცი ფეხს ვერ აუქცევს, ერთხელ ხოტბით არავინ მიჰმართა ზუთხსა და იმისს ძალას. აღმოსავლეთს საქართველოში-კი რომ ყოფილიყო, აქნამდის მთელი დიდი პოემა დაიწერებოდა, თუ ლექსად არა, პროზად მაინც. ჩვენში სალა-ღა კვიცებს ვამკობთ ხოლმე, ზუთხს არ შევამკობდით!!

— ეჰ, აი რად იჭაჭებიან ხოლმე ქუთათური კენჭოსნები ერთ ვილაც კაცის გულისათვის!? თურმე სულ ამის ბრალი არა ყოფილა!—სთქვა ჩემმა მეგობარმა, როცა გული ისრულა ზუთხით.

ს. გუმბაძე

ტებმა კვლავ თავიანთი კანდიდატი აირჩიონ პრეზიდენტად. ამ საქმის დაწყებისათვის უფრო ტაშს უკვრენ კლიველანდს დემოკრატები, აღტაცებით ლაპარაკობენ იმისს კაი კაცობაზე და ამტკიცებენ, რომ ეს კაცი მეორე ანდრიუ ჯაკსონიაო. ჯაკსონი წინად ღმერთივით მიაჩნდათ თურმე დემოკრატებს.

◆◆

წვრილი ამბები

ლონდონელი კორრესპონდენტი გაზ. „Liverpool Daily Post“-ისა ლაპარაკობს დედოფალ ვიქტორიას შეძლებასა და ქონებაზედ: დედოფალს სახელმწიფოსაგან შემოსდის 3.850,000 მან. წელიწადში. ამ ფულს გარდა დედოფალს კერძოდ ეკუთვნის დიდ-ძალი მიწები, რომლისაგანაც ყოველ წლივ 207,330 მან. შემოსავალი აქვს. მამული კლარემონსი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად იყიდა 780,000 მან., ეხლა სულ ცოტა 1.500,000 მან. ფასობს. ამას გარდა დედოფალს ეკუთვნის მამული კობურგში და მამულივე ჰოგენლოე ბადენ-ბადენში. 1852 წ. სერ ჯემს კამდენ ნეილმა დაუტოვა სამკვიდროდ 2.500,000 მან., ხოლო პრინცის ქმრის მიერ დატოვებული ქონება-კი აღირიცხება 6.000,000 მანათამდე. «Daily Post»-ი ამბობს, რომ რაკი ასეთი დიდი შეძლება ჰქონია დედოფალს, პრინც უელსისას ნულარ მოუმატებთ მამულებსაო.

— ამას წინად ლონდონელს წიგნის მყიდველ ტომსონზე საჩივარი შეუტანიათ, რომ ბოკკაჩიოს „დეკამერონსა“ ჰყიდის, იმ წიგნს, რომელიც აღკრძალული უნდა იყოს, ვითარცა ზნეობის გამხრწნელიო. სასამართლოს ეს საჩივარი არ შეუწყნარებია და უკუ უბრუნებია.

— ამერიკის გაზეთები ამბობენ, რომ 1892 წ. ნიუ-იორკში გაიმართება მსოფლიო გამოფენა. ამ წელს სწორედ ოთხასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ამერიკა იქმნა აღმოჩენილიო.

— დოქტორი შლიმანი ამ ჟამად ქალაქ მიკენის ახლო-მახლო ადგილებსა და მიდამოებს სჩხრეკს და ყოველ დღე ახალ-ახალს საგნებს ჰპოულობს, ისეთს საგნებს, რომელნიც დიდის არხეოლოგიურისა და ანტროპოლოგიურის მნიშვნელობისანი არიან. ამ ქალაქის მთელი მიდამოები სავსეა ისეთის სამარეებითა და გორხანებით, რომელიც ჰომეროსის წინა დროს ეკუთვნის. ეს სამარეები კლდეებზეა გამონგრეული და შიგ გარდაცვალებულთ მიწა მიუყრელად აწვენდნენ თურმე და არა სწვავდნენ-კი, როგორც სჩადიოდნენ ჰომეროსის დროს. იქვე უპოვნიათ დიდ-ძალი ნივთეულობა შუშისა, ბროლისა და სპილოს ძვლისა. ამ ნივთების ზედ-წარწერანი ამტკიცებენ თურმე, რომ საბერძნეთის ხელოვნების აკვანი აღმოსავლეთი ყოფილა.

— კანტონის ვიცე-კოროლს ჩანგ-ჩიტუნგს იმპერატორთან ქაღალდი გაუგზავნია, რომელშიაც უჩივის ნავთს. ქაღალდში ჩამოთვლილია ყველა უბედური შემთხვევა, რომელიც ამ უკანასკნელს დროს მომხდარა ნავთის მეოხებით. ამას წინად, მაგალითებრ, სვატოუში დამწვარა 400 სახლი, ამაზედ წინად კიდევ დაიწვა ხომალდი და 800 კაცი დაიღუპა; ამ რამდენისამე ხნის წინად კიდევ 10,000 კაცი დარჩა ულუკმა-პუროდ ამავე ნავთისაგან ცეცხლის გაჩენის გამოვო. ვიცეკოროლი ამტკიცებს, რომ ეს ნავთი ძალიან საზიანოა, მაზარალებელია ჩინეთის მრეწველობისა და განდევნა მცენარეობის ზეთეულობანი, რომელსაც სანათად ჰხმარობდნენ და მავნებელია აგრეთვე მცხოვრებლებისთვის ოპიუმზედ უფრო მეტადაო. ამიტომ უეჭველად სასტიკად უნდა აღვკრძალოთ ჩვენს ქვეყანაში ნავთის შემოტანაო. ამ უკანასკნელს დროს განგებ დიდი გარდასახადი დავაწესე, რომ მისი ჩვენს ქვეყანაში შემოტანა მომესპო, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. ამიტომ სთხოვს იმპერატორს, რომ როგორმე მიეშველოს და შემწეობა მისცეს უცხო ქვეყნელ მოვაჭრეებთან ბრძოლაში, რომელნიც იმ საბაბით, ვითომ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვაში ვართო, ამ მავნებელს ნივთიერებას ავრცელებენო. ვიცეკოროლის აზრით, ნავთის შემოტანის აღკრძალვა მით უფრო ადვილია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შტატებმა უკვე დაადგინეს 1881 წ. ხელ-შეკრულობით, რომ ჩინეთელი ხალხი მეტად ბევრი მოდის ჩვენს ქვეყანაში და ნება აღარ მივცეთ აქ შემოსვლისა, რადგან ჩვენს მუშა ხალხს საქმეებს ართმევენ და სამუშაოს ეცილებიანო. თუ ისინი ჩვენთა ქვეშევრდომთა თავიანთს ქვეყანაში შესვლას აღკრძალავენ, რატომ ჩვენ-კი არ უნდა აღვკრძალოთ იმათი ნავთი, როდესაც მავნებლად მიგვაჩნიაო.

— ბრიუსელში ამ ბოლოს დროს საზოგადოებას დრტვინვა დაუწყია იმის შესახებ, რომ თეატრში ქალები მეტად მაღალს შლიაპებს იხურავენ და გვიშლიან წარმოდგენის ყურებასაო. ამის გამო დირექციას ერთის ბრიუსელის თეატრისას გამოუკიდნია შემდეგი განცხადება: „მხოლოდ ხანში შესულ ქალთ ეძლევათ ნება თეატრში შლიაპით ისხდნენო“. წაუკითხავსთ თუ არა ეს განცხადება ქალებს, არც ერთს აღარ დაუხურავს წარმოდგენაზედ დასწრებისას შლიაპა, ყველანი თავ მოხდილები მსხდარან.

◆◆

დეპეშა

23 სექტემბერი

პეტერბურგი. გაზეთები გვაუწყებენ, რომ საბოლოოდ შემუშავებულიაო ახალი საპენსიო წესდება. ამ წესდებას საფუძვლად ექმნება თავის დაზღვევა მთელის სიცოცხლის განმავლობაში. მართებლობა აღმოუჩენს შემწეობას მოხელეთა გამოზოგებულს ფულს და ამასთანავე ორმოც-და-ათის წლის სამსახური მიანიჭებს უფლებას, რომ პენსიად ექცეს სრული ჯამაგირი. განზრახვა აქვსთ, რომ ახალი წესდება 1889 წლიდამ შემოიღონ.

ეკატერინოდარი. გუშინ დილით საოლქო მმართველობიდამ გაემართა საკრებულო ტაძარს ლიტანია და წაიღო ჯართა სახელმწიფო ნიშნები. მათის იმპერატორებით დიდებულების მობრძანებისა და სამადლობელის პარაკლისის გადახდის შემდეგ, მთავარმა ატამანმა მიართვა ხელმწიფეს ატამანობის ნიშანი. ხელმწიფემ მიჰმართა ჯარს და გამოაცხადა თავისი კმაყოფილება კავკასიაში მობრძანების გამო და იმედი, რომ ახალგაზდანი ყუბანის ჯარისანი ისევე პატიოსნად და კეთილად იმსახურებენ, ვითარცა ძველნი მსახურებდნენ. ხმა-მაღალი და აღტაცებული „ურა“ იყო ხელმწიფის მოწყალე სიტყვების პასუხად. როცა ჯართა სახელმწიფო ნიშნები უკანვე წაიღეს, ჯარს წინ უძღოდა მემკვიდრე ცესარევიჩი. მას უკან ატამანის სახლში მათ დიდებულებათ მიიღეს დეპუტაციები და სხვა-და-სხვა ძღვენი. საღამოს მათ დიდებულებათ წვეულება ჰქონდათ.

ვენა. იმპერატორის ვილჰელმის აქ ყოფნას მოჰყვა ლაპარაკი და ბაასი აღმოსავლეთის საქმის გამო. გრაფ კალნოკის ებოძა ორდენი შავის არწივისა ბრლიანტებით.

პარიჟი. „ოფიციალურს გაზეთში“ გამოცხადებულია დეკრეტი იმ პირობების შესახებ, რა პირობებითაც უცხო ქვეყნელთ ნება ეძლევათ საფრანგეთში ცხოვრებისა.

წყალი ძალიან მოზღვავებულა და ლიონის ახლო-მახლო ადგილებს მოსდებია.

ბუქარესტი. დედოფალ ნატალიასთან მორიგება ვერ მოხდა განქორწინებაზედ მოლაპარაკების შესახებ. დედოფალმა გამოუცხადა პიროჩანცს: „მეფემ უნდა დამითმოს, უნდა დამყვესო“.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ოფიციალ. დისკონტი ასწია 4-დგან 5%-მდე.

პარიჟი. საფრანგეთის ბანკმა ოფიციალ. დისკონტი ასწია 4-დგან $4^{1}/_{2}$%-მდე.

მიუნხენი. დღეს აქ გარდაიცვალა რუსეთის უმაღლესის კარის ნამინისტრალი გრაფი ა. ვ. ადლერბერგი.

ვენა. გუშინდელს სადღესასწაულო სადილზე იმპერატორმა ვილჰელმმა ფრანც-იოსების სადღეგრძელოს პასუხად გამოაცხადა, რომ მე ჩემის მოკავშირესადმი შეურყეველის მეგობრობის გრძნობა მაქვსო. ავსტრიის იმპერატორის მეორე—ჯარის სადღეგრძელოზე, რომელზედაც ფრანც-იოსებმა სთქვა, «ჩვენი მეგობრები არიანო», იმპერატორმა ვილჰელმმაც დალია ავსტრიის ჯარის სადღეგრძელო და იმანაც „ჩვენი მეგობრები“ უწოდა ამ ჯარს.

პეტერბურგის ბირჟა, 20 სექტემბ.

	მყიდველნი	გამყიდველნი	გაყიდულნი
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— „	— „	7 57
ტამოჟნის კუპონები	— „	— „	$150^{1}/$
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 16
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	262
—მეორისა	— „	— „	$233^{1}/_{2}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

24 დღე შაბათი. ღირსისა პირველმოწ. თეკლესი. კათოლ. ეპ. გერარდისა. სომეხ. ხსნილი. წმ. გიორგობა. (შავნაბადობა) მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 5—29. მთვარე 2 დღისაა.

25 დღე კვირა. ღირსისა ეფროსინესი და სერგისა. კათოლ. კლეოფასი. სომეხ. მოვლენა ჯვარისა ვარაკის მთაზედ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, 1768 წ.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—4, ჩადის 5—29. მთვარე 3 დღისაა.

26 დღე ორშაბათი. მიცვალება მოც.-მახ. იოანე ღვთის-მეტყველისა. კათოლ. ციპრიანესი. სომეხ. წმ. დავითისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში ძლიერი მიწის ძვრა იყო, 1804 წ.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 5—31. მთვარე 4 დღისაა.

27 დღე სამშაბათი. წამ. კალისტრატესი. კათოლ. წმ. სტანისლავისა. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—48. ტფილისში მზე ამოდის 6—6, ჩადის 5—26. მთვარე 5 დღისაა.

28 დღე ოთხშაბათი ღირსისა ხარიტონისა. კათოლ. ეპ. სოლომონისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-5 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა. —ნება დართულ იქმნა, რომ ტფილისში გამოიცემოდეს სომხური გაზეთი „არარატი“, 1849 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—47. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 5—27. მთვარე 6 დღისა.

29 დღე ხუთშაბათი. ღირსისა კირიაკესი და კიპრიანესი. კათოლ. მიხეილ მთავარ-ანგელოზისა. სომეხ. წმ. თავადთა სააკისა და ამაზასპისა. მუსულ. მე 6 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 5—26. მთვარე 7 დღისა.

◆

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა.	$3^{1}/_{2}$	›
„ 2 „	3	„
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	4	„
„ „ 3 „	$3^{1}/_{2}$	„
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	5	„
მე-2 ხარისხისა	4	
მე-3 —	„	„
ძროხის ხორცი	8	„
„ 2 „	7	„
სუკი	14	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8	„
ღორის ხორცი	„	„
„ 2 „	„	„

განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან	,,	40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ.	,,	15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა	›	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა.	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ.	,,	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	„	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	,,
მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა	„	25
გაენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა	„	25
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა.	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა.	„	40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
გულივერის მოგზაურობა	„	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	„	50
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
ვაზის ობი.	„	10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ლოცვანი, დამბაშიძისა	„	30
სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან.	„	5
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა	„	5

ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქიროს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაშჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

ეს ერთად-ერთი განყოფილება ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც გირაო აქვს შეტანილი ხაზინაში.

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე